სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება N2288/154

ქ. თბილისი „5“ „ნოემბერი“ 2013 წ.

ერთის მხრივ შპს „ნიუს-ჯი“ (შემდგომში “კომპანია”), წარმოდგენილი მისი დირექტორის მირიან კიკნაძის სახით და მეორეს მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში “დამკვეთი”), წარმოდგენილი მისი მინისტრის პირველი მოადგილის გოგი ფაცაციას სახით, ვხემძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დამკვეთის დავალებით კომპანია უზრუნველყოფს ინტერნეტში საინფორმაციო პორტალ news.ge მეშვეობით შემდეგი მომსახურების გაწევას, კერძოდ კი: პორტალზე news.ge საინფორმაციო მხარდაჭერის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს პორტალზე დამკვეთის მიერ მოწოდებული საინფორმაციო მასალისა და ვიდეო ჩანაწერების პერიოდულ განთავსებას. (თვეში არაუმეტეს 10 მასალისა).

1.2 CPV **92121000 – „ვიდეოჩანაწერების გავრცელება“;**

1.3. შესყიდვის საშუალებად გამოყენებულია „გამარტივებული შესყიდვა”, რომლის საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის $ს^1$ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

მუხლი 2. მომსახურების პირობები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1-ე პუნქტის ქვეპუნქტის შესაბამისად პორტალზე დამკვეთის მიერ მოწოდებული საინფორმაციო (სარეკლამო) მასალა განთავსებული იქნება ოპერატიულად, ინფორმაციის მიღებიდან 1 საათის განმავლობაში.

2.2 დამკვეთის მოთხოვნით პორტალზე განსათავსებელი ინფორმაცია თავისი შინაარსით არ უნდა არღვევდეს მესამე პირთა უფლებებს, შესაბამისად ისინი არ უნდა შეიცავდეს: ა)სათანადო თანხმობის გარეშე მესამე პირთა ბრენდირებულ სავაჭრო/საფირმო სახელწოდებას, საავტორო ნაწარმოებებს, სასაქონლო/სავაჭრო ნიშნებსა და პროდუქციას, ბ) დაუშვებელი შედარებითი რეკლამირების ხასიათს; გ) დაუშვებელ/ აკრძალულ პროდუქციას; დ) და სხვა ისეთ შინაარსსა და ხასიათს, რომელიც არღვევს საქართველოს კანონმდებლობასა და ამ უკანასკნელით მიჩნეულია დაუშვებლად;

2.3 მოწოდებული ინფორმაციის შინაარსსა და მათ ფორმატზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება დამკვეთს, შესაბამისად მათი განთავსების შემდგომ, თუ ადგილი ექნა წინამდებარე მუხლის 2.3-ე პუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გარემოებას, კომპანია უფლებამოსილია დაუყოვნებლივ მოახდინოს შეკვეთილი სტატიის ჩვენების ბლოკირება, ხოლო მესამე პირთა მხრიდან პრეტენზიის გაცხადების შემთხვევაში მოთხოვოს დამკვეთს უფლებათა დადასტურება და დაუდასტურებლობის შემთხვევაში კი მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2.4. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1-ე პუნქტში მითითებული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება **შეადგენს 375 (სამასსამოცდათხუთმეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით,** ხოლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **750 (შვიდასორმოცდაათი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.**

3.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარი;

3.3. მომსახურების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 10 საბანკო დღის ვადაში;

3.4. ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი თბილისი.

3.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი თამარ კაციტაძე.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 5 ნოემბრიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება მხარისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

6. ინსპექტირება

6.1. მხარეები ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებისათვის განსაზღვრავენ მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს, კერძოდ, კომპანია - მირიან კიკნაძე და დამკვეთის მხრიდან საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი თამარ კაციტაძე.

7. პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების პირობებში; ასეთ გარემოებად მიიჩნევა: ომი, საბრძოლო მოქმედება, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი და ა.შ.

8.2. მხარე ვალდებულია, ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და შეწყვეტის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

9.1.2. მოქმედების ვადის გასვლით;

9.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ:

ა) მეორე მხარე არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) ერთი მხარე მოითხოვს ხელშეკრულების პირობების შეცვლას, ხოლო მეორე მხარე ამის წინააღმდეგია.

9.2. თითოეული მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტამდე, ასევე ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, 1 (ერთი) თვით ადრე გააფრთხილოს ამის შესახებ მეორე მხარე.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები შეეცდებიან, მათ შორის წამოჭრილი დავა გადაწყვიტონ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი პირობები

11.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს.

11.2. თუ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა, მაგრამ არცერთ მხარეს არ მოუთხოვია ხელშეკრულების შეწყვეტა ან შეცვლა 1 (ერთი) კვირის განმავლობაში, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით რა ვადითაც იქნა დადებული.

11.3. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები

"ს ა ა გ ე ნ ტ ო "	" დ ა მ კ ვ ე თ ი "
შპს "ნიუს-ჯი"	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404412248	იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და
თბილისი, რუსთაველის გამზ. 14	ლტოლვილთა სამინისტრო
სს "თი ბი სი ბანკი"	მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა
ბ.კოდი TBCBGE22	ს/კ: 200037646
ა/ა GE91TB7260136080100001	ტელ: 2 31 1580
	სახელმწიფო ხაზინა
	ბ. კოდი 220101222
	ა/ა 200122900
დირექტორი	მინისტრის პირველი მოადგილე
მირიან კიკნაძე	გოგი ფაცაცია